ეროვნული თავდაცვის აკადემია
NATIONAL DEFENCE ACADEMY

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა

2025 წელი

პრეამბულა

თანამედროვე რეალობაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის განვითარების თვალსაზრისით (ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში) მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და მიმდინარე პროცესებში მათ ინტეგრირებას.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) მთავარ ინტერესს წარმოადგენს იუნკერების და მსმენელებისათვის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების გზით განათლების მიცემა.

სწორედ აქედან გამომდინარე, აკადემიისათვის, როგორც ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, მნიშვნელოვანია ნაბიჯ-ნაბიჯ გაჰყვეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში არსებული ახალი ტექნოლოგიებისა და მათზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენების პროცესებს.

ამასთან, აკადემია წარმოადგენს სამხედრო დაწესებულებას, სადაც პრიორიტეტულია მაღალი ეთიკა, მტკიცე მორალი, ღირსება, კეთილსინდისიერება და დისციპლინა, რაც მოითხოვს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წესებისა და არეალის განსაზღვრას.

აკადემია მზაობას აცხადებს და მხარს უჭერს ყველა სახის ახალი ტექნოლოგიის ინტეგრირებას სასწავლო პროცესსა და ზოგადად საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში იმ დოზით, რაც არ ეწინააღმდეგება ეთიკურ ნორმებს, დისციპლინის მოთხოვნებსა და არ თრგუნავს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

მუხლი 1. დოკუმენტის არსი და მიზანი

1. წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანია:
   ა) აკადემიაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში ინტეგრირების ხელშეწყობა;

ბ) ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის თვითგენერირებადი პროგრამებისა (Generative AI) და მათზე დაფუძნებული სისტემების გამოყენების გამჭვირვალობის პრინციპის, ეთიკური ნორმების, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის ხელშეწყობა;

გ) ცნობიერების ამაღლება ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობებსა და მათთან დაკავშირებულ რისკებზე;

დ) ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დასაშვები და აკრძალული სფეროების განსაზღვრა.

2. დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირებისთვის და ორიენტირებულია ისეთი სივრცის ფორმირებაზე, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების/კვლევის პროცესის დივერსიფიკაციას ახალი ტექნოლოგიების მხარდაჭერით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.

ამ წესის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტებები:

ა) ახალი ტექნოლოგიები (Emerging technologies) განათლების სფეროში აღნიშნავს იმ ახალ და სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებს, რომლებიც ფუნდამენტურად ცვლიან სწავლა-სწავლების მეთოდებს, პროცესებსა და გარემოს. ეს ტექნოლოგიები ჯერ კიდევ ფორმირების ან ექსპერიმენტული დანერგვის ფაზაში იმყოფება, თუმცა უკვე გამოირჩევა მაღალი პოტენციალით გააუმჯობესოს ცოდნის გადაცემის ეფექტიანობა, სწავლების პერსონალიზაცია და ხელმისაწვდომობა.

ბ) ხელოვნური ინტელექტი (AI) არის ქვემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც კომპიუტერებს საშუალებას აძლევს შეასრულონ მრავალფეროვანი და რთული ინტელექტუალური ფუნქცია, მათ შორის ვიზუალური აღქმა, ზეპირი და წერილობითი ენის გაგება და ტექსტის თარგმნა, მონაცემთა ღრმა ანალიზი, მიზნობრივი რეკომენდაციების ფორმირება და სხვ., რაც აქამდე მხოლოდ ადამიანისთვის იყო ხელმისაწვდომი:

ბ.ა) მანქანური სწავლება (Machine Learning);

ბ.ბ) ღრმა სწავლება (Deep Learning, Neural Networks);

ბ.გ) ბუნებრივი ენის დამუშავება (Natural Language Processing – NLP);

ბ.დ) კომპიუტერული ხედვა (Computer Vision);

ბ.ე) ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების ალგორითმები.

გ) კონფიდენციალური ინფორმაცია: ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფას, სავარაუდოდ მოჰყვება კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ფუნქციებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი და რომლის კონფიდენციალურ ინფორმაციად კლასიფიცირების მიზანია ინფორმაციული აქტივების მართვის წესების უზრუნველყოფა, გარდა იმ წესებისა, რომლებითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 3. პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედების სფერო

პოლიტიკის დოკუმენტი ვრცელდება აკადემიაში დასაქმებულ პირებზე, იუნკერებზე/მსმენელებზე და აკადემიასთან სამართლებრივი ურთიერთობით დაკავშირებულ სხვა პირებზე.

მუხლი 4. ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნები:

აკადემიაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

ა) კვლევის უნარების განვითარების ხელშეწყობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკაში ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების გამოყენება უნდა ემსახურებოდეს კვლევითი უნარების განვითარების მხარდაჭერას და არა მათ ჩანაცვლებას. საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე მექანიკური დაყრდნობა, რამაც შესაძლოა შეასუსტოს დამოუკიდებელი ანალიზისა და სისტემური აზროვნების უნარები. ამის ნაცვლად, AI უნდა აღიქმებოდეს, როგორც დამხმარე

მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს კვლევითი პროცესის სტრუქტურირებას, მონაცემთა კრიტიკულ გაანალიზებას და ინფორმაციის სინთეზის უნარს.

ბ) ახალი ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობა

საგანმანათლებლო სივრცეში ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრაცია დამოკიდებულია მათი მიზნობრივი და გააზრებული ათვისების ხელშეწყობაზე. ტექნოლოგიებზე მხოლოდ ტექნიკური წვდომა ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გარდაქმნას, თუ არ არსებობს შესაბამისი ცოდნა, უნარები და მოტივაცია მათი შინაარსობრივად გამოყენებისთვის. აუცილებელია, საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეებმა აღიქვან ტექნოლოგიები არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც საშუალება, რომელიც ამდიდრებს სწავლა-სწავლების პრაქტიკას, ზრდის ჩართულობას და აჩქარებს პროფესიულ განვითარებას. შესაბამისი მხარდაჭერის, ტრენინგებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს საფუძველს მდგრადი და ტექნოლოგიურად ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

გ) ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირება სამეცნიერო და სასწავლო სფეროში

თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცე საჭიროებს ისეთ ტექნოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების სინერგიას.

ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირება უნდა განხორციელდეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემურად - ისე, რომ ისინი ფუნქციურად მოერგონ, როგორც საგნობრივი სწავლების მიზნებს, ისე სამეცნიერო ანალიზისა და ცოდნის შექმნის პროცესს.

სწორი ინტეგრაცია ამაღლებს როგორც სწავლების ხარისხს, ისე კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობას და ქმნის გარემოს, სადაც ტექნოლოგიური რესურსები მოქმედებენ როგორც ინტელექტუალური განვითარების გამაძლიერებელი ფაქტორები.

დ) კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარების პრიორიტეტს. პერსონალის და იუნკერების/მსმენელთა მიზანი არ უნდა იყოს AI-ზე დამოკიდებულება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფიქრის უნარების შესუსტება. ამის ნაცვლად, AI ტექნოლოგიები უნდა განიხილებოდეს როგორც ინტელექტუალური ასისტენტი, რომელიც აღრმავებს კონტექსტის გააზრებას, ხელს უწყობს მრავალწახნაგოვან მსჯელობას და ემსახურება ცოდნის გაღრმავებასა და განვითარებას.

მუხლი 5. ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სფერო

1. აკადემიაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება დაშვებულია შემდეგი მიზნებისათვის:

ა) საგანმანათლებლო მასალის გამდიდრებისთვის;

ბ) ესეს, პრეზენტაციის, ლექციის ან გეგმის სტრუქტურირებისათვის მასალების მოსაძიებლად;

გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის;

დ) საკითხის უკეთ გასაგებად (დამხმარე კითხვები, განმარტებები);

ე) კვლევის დაგეგმვისთვის, კითხვების ჩამოყალიბებისა და იდეების გენერირებისთვის;

ვ) მასალის სტრუქტურირებისთვის;

ზ) ტექსტის სტილისტური/გრამატიკული გასწორებისთვის (Grammarly, ChatGPT-ს ენობრივი ფუნქცია);

თ) საძიებო ინფორმაციის შერჩევისა და ზოგად არსში სწრაფად გარკვევისათვის;

ი) თარგმნისა ან ტერმინთა განმარტებებისათვის;

კ) სხვა შემთხვევებში, როცა ეს არ ეწინააღმდეგება კონკრეტული სასწავლო კურსის/კვლევის ან დავალების პირობებს;

2. **ახალი ტექნოლოგიების გამოყენების აკრძალვა:**

- იკრძალება:

ა) ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი ტექსტის გამოყენება ავტორის მითითების გარეშე და მისი როგორც საკუთარი ნაშრომის სახით წარდგენა;

ბ) ახალი ტექნოლოგიების მიერ გენერირებული ტექსტის წარმოდგენა და მისი გამოყენება ან მითითება როგორც ინფორმაციის წყარო;

გ) საგამოცდო ცენტრში/აუდიტორიაში გამოცდების, ტესტების ან დავალებების შესრულებისას გამოყენება;

დ) AI-ს მიერ შემოთავაზებული ტექსტი წარმოადგინონ ისე, როგორც საკუთარი ნაშრომი/ნააზრევი;

ე) როგორც ინდივიდუალური ანალიზის საბოლოო პროდუქტი;

ვ) ამ დოკუმენტის მე-2 მუხლის ''გ'' პუნქტით გათვალისწინებული კონფიდენ-ციალური ინფორმაციის შეყვანა განთავსება.

3. **ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაციისას გასათვალისწინებელი ასპექტები სასწავლო პროცესში**

ა) თუ აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი თავის სასწავლო კურსში ნებადართულად მიიჩნევს და წაახალისებს ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტების ან სხვა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული აპლიკაციების გამოყენებას, მან უნდა გაითვალისწინოს, აქვს თუ არა ყველა იუნკერს/მსმენელს თანაბარი წვდომა აღნიშნულ რესურსებზე.

ბ) თუ აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი განსაზღვრავს, რომ კონკრეტული ნაშრომის ან დავალების შესრულებისთვის გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაუშვებელია, მაგრამ იუნკერი/მსმენელი მაინც წარადგენს სათანადოდ მითითებულ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულ ნაშრომს/დავალებას, აღნიშნული ქმედება არ განიხილება როგორც აკადემიური თაღლითობა. ჩაითვლება სასწავლო კურსის

ჩაბარების პირობების დარღვევად და ექვემდებარება შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ რეაგირებას.

გ) ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია, სასწავლო პროგრამების სილაბუსების შემუშავებისას, მკაფიოდ განსაზღვროს მათი გამოყენების პრინციპები და მეთოდოლოგიური მიდგომები. აღნიშნული მოიცავს იმ ციფრული და ინოვაციური ინსტრუმენტების იდენტიფიცირებასა და აღწერას, რომლებიც ჩართულია სწავლა-სწავლების და შეფასების პროცესში. ასეთ ინსტრუმენტებად შეიძლება დასახელდეს გენერაციული ხელოვნური ინტელექტი (AI), ანალიტი-კური პლატფორმები, ადაპტური სწავლების სისტემები და სხვა ტექნოლოგიუ-რი რესურსები.

დ) სილაბუსის შესაბამის ნაწილში უნდა აისახოს შემდეგი კომპონენტები:

- დ.ა) ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნობრიობა და ფუნქციური დატვირთვა კურსის ფარგლებში;
- დ.ბ) იუნკერების/მსმენელებისთვის დასაშვები და აკრძალული გამოყენების ფორმები;
- დ.გ) ეთიკური სტანდარტებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინება.

ე) ახალი ტექნოლოგიების გავლენის მართვისა და მათი ზემოქმედების დაბალანსების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნევა, რომ აკადემიურმა ან/და მოწვეულმა პერსონალმა სასწავლო პროცესში გამოიყენოს შემდეგი ტიპის სტრატეგიული მიდგომები:

- ე.ა) ზეპირი ან წერილობითი გამოცდების ჩატარება, რაც ხელს უწყობს გენერაციული ტექნოლოგიებისგან მომდინარე ჩარევის რისკების შემცირებას და ცოდნის უფრო უტყუარი ფორმით შეფასებას;
- ე.ბ) ესეს ტიპის დავალებებისთვის შეფასების სისტემაში შედარებით დაბალი წილის ან პრიორიტეტის მინიჭება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში,

როდესაც მათი შინაარსობრივი შესრულება ტექნოლოგიური საშუალებების მეშვეობით შესაძლოა მნიშვნელოვნად გამარტივდეს;

ე.გ) ისეთი დავალებების დაგეგმვა და დანერგვა, რომლებიც ითხოვს ორიგინალური მონაცემების შეგროვებას, პირველწყაროებთან ინტერვიუების ჩატარებას, ემპირიულ დაკვირვებას, საველე კვლევებს, სამეცნიერო ბაზების გამოყენებას, მრავალმხრივი კვლევითი მეთოდოლოგიების განხორციელებასა და მიღებული ინფორმაციის ანალიტიკურ დამუშავებას.

მუხლი 6. პასუხისმგებლობის სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში, ჩართული პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

   ა) აკადემიაში მოქმედი პლაგიატის რეგულირების წესის, აკადემიური კეთილსინდისიერების, ეთიკის კოდექსისა და კვლევის ეთიკის მოთხოვნები, ასევე აკადემიაში მოქმედი აკადემიური უმაღლესი განათლების და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მოთხოვნები.

   ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და აკადემიაში შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

2. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა გამოიწვევს სადისციპლინო წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას/რეაგირებას.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.